ხაშურის მოამბე

№33 (114) 4 სექტემბერი, ორშაბათი, 2017 წელი

ინფრასტრუქტურული პროექტები გეგმიურ ვადებში ხორციელდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, კახი კახიაშვილს და ძალოსნობის ფედერაციის წარმომადგენლებს ხაშურში სპორტული კომპლექსის მშენებლობა დაათვალიერებინა.

მასშტაბური პროექტი, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით ხორციელდება, 2 292 455 ლარს ითვლის.

პროექტის ფარგლებში ეწყობა საკალათბურთო/სახელბურთო, საჭიდაო, ძალოსნობის, მძლეოსნობის და ფიტნეს დარბაზები. მეორე სართულზე განთავსებულია საჭადრაკო ოთახი და სატრენაჟორო დარბაზი. ეწყობა მცირე საკონფერენციო დარბაზი და კაფე-სასადილო. შენობაში განთავსდება 40 ადამიანზე გათვლილი სასტუმროც. სპორტული კომპლექსი ყველა თანამედროვე სტანდარტს უპასუხებს და ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე.

გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა აღნიშნა, რომ სპორტული კომპლექსის მშენებლობის შემდეგ, მუნიციპალიტეტში სპორტული ცხოვრება კიდევ უფრო აქტიური, მრავალფეროვანი და წარმატებული გახდება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა არაერთ პროექტს ახორციელებს სპორტული ცხოვრების ხელშეწყობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის.

მომდევნო დღეებში, გამგებელმა, გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, დაბა სურამში, კიკვიძის ქუჩის მოასფალტების და სოფელ მიწობში, მდინარის ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა. სურამში, კიკვიძის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 126 310 ლარს შეადგენს, პროექტით გათვალისწინებულია ასფალტის საფარის დაგება და სანიაღვრე არხების მოწყობა. სამუშაოები ოქტომბრის შუა რიცხვებში დასრულდება და ადგილობრივ მაცხოვრებლებს კომფორტული გადაადგილების საშუალება მიეცემათ.

სოფელ მიწობში მდინარე მიწობულას ნაპირსამაგრი კედლის და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები 127 878 ლარს შეადგენს. პროექტი, რომელიც 80 მეტრიანი მონაკვეთის მოწყობას ითვალისწინებს, შესაძლო სტიქიის პრევენციისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებამდე 46 დღე დარჩა

2017 წლის 21 ოქტომბერი საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების თარიღად გამოაცხადა. თარიღის ძალაში შესვლისთანავე, ქვეყნის ყველა რეგიონში, წინასაარჩევნო მარათონმა აიღო სტარტი. არჩევნებამდე თითქმის ორი თვეა დარჩენილი, თუმცა, ციებ-ცხელება ჩვენს ქალაქს უკვე დაეტყო. ხაშურის მუნიციპალიტეტი მოახლოებულ თარიღს მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდება. უშუალოდ, თუ რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ, ამის შესახებ, ტრადიციულად, იმედო ლაცაბიძეს, ხაშურის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავჯდომარეს ვესაუბრეთ.

- ბატონო იმედო, უპირველეს ყოვლისა, მოგვიყევით იმ მნიშვნელოვან

ცვლილებაზე, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს ეხება, ვგულისხმობ, ხაშურის ოთხ მაჟორიტარულ ოლქად დაყოფას.

– ვიდრე უშუალოდ კითხვაზე გიპასუხებდეთ, ვისარგებლებ შემთხვევით და წარმატება მინდა, ვუსურვო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს და მოსახლეობას ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში, ვიმედოვნებ, მათთვის სასიკეთო არჩევანს გააკეთებენ. კანონით, აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით და მის შესაბამისად ამ კანონით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება. რაც შეეხება კითხვას: დიახ, ნამდვილად ასეა, მიღებულ იქნა განკარგულება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის არჩევნებისათვის №35 ხაშურის საარჩევნო ოლქის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ. მნიშვნელოვანი სიახლეა იმ მხრივ, რომ აქამდე ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობა იყო 13, დღეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, №35 ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა ახალი საზღვრები ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქების შექმნის თაობაზე და ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობა გაიზარდა 3-ით, კერძოდ, ქ. ხაშური დაიყო 4 ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქად , რაც იმას ნიშნავს, რომ საკრებულოში ქალაქი ხაშური წარმოდგენილი იქნება 4 მაჟორიტარი დეპუტატით. მაჟორიტარული ოლქების ზრდა ხდება შემდეგ შემთხვევაში: თუ ქალაქში ამომრჩეველთა რაოდენობა 10 ათასამდეა იქნება - ორი მაჟორიტარი , 10 ათასიდან-დან 20 ათასამდე - სამი, 20 ათასიდან 35 ათას ამომრჩევლამდე – 4, 35 ათას-დან ზემოთ - 5 და ა.შ. ქალაქი ხაშური მოხვდა კატეგორიაში, სადაც 20 ათასიდან დან 35 ათასამდე ამომრჩეველია, შესაბამისად, წელს, ოთხი მაჟორიტარული ოლქი მივიღეთ. უშუალოდ ქალაქ ხაშურს, დაახლოებით, 24 500 ამომრჩეველი ჰყავს, ცვლილებებიც მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრს შეეხო. ხაშურში სულ 21 უბანი გვაქვს, შეძლებისდაგვარად, თანაბრად გადავანაწილეთ ამომრჩეველთა რაოდენობა, დაახლოებით, ექვს-ექვსი ათასი ამომრჩეველია თითოეულ უბანზე.

- არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაცია, ცხადია, დაიწყო. მიიღეთ თუ არა რომელიმე პარტიისგან ან საინიციატივო ჯგუფისგან განაცხადებები?

– რაც შეეხება, საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციას, უკვე დასრულდა. მათმა ნაწილმა, წარმოადგინა ხელმოწერები, რომელთაც ჩვენ განვიხილავთ და შემდგომში მოხდება მათი დამტკიცება საარჩევნო კანდიდატებად, თუმცა, შესაძლოა, უარიც ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე. საერთო ჯამში 17 საინიციატივო ჯგუფმა შემოიტანა განაცხადი. აქედან, ორი არის მერობის კანდიდატი, დანარჩენი 15 კი – მაჟორიტარი დეპუტატობის. რაც შეეხება პარტიების წარმომადგენელ კანდიდატებს, განაცხადი, არც ერთ მათგანს წარმოუდგენია. ოცდაათი დღით ადრე რეგისტრირდებიან პარტიების წარმომადგენლები. თუმცა, ვადა ჯერ კიდევ აქვთ.

(დასასრული V გვერდზე)

იქმნება გენდერული თანასწორობის საბჭო

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 აგვისტოს მორიგმა სხდომამ დაამტკიცა დადგენილების პროექტი „ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ". საბჭო წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტში საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

2. საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

3. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონით, საკრებულოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიულიაქტებითა და ამ დებულებით.

4. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს ძირითადი ამოცანები

1. საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ეროვნული სამოქმედო გეგმის

გათვალისწინებით შეიმუშაოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და

უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია;

ბ) განახორციელოს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად;

გ) განიხილოს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის, გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტის პროექტები; მოამზადოს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები;

დ) განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შესრულებული ან მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი და შეფასება გენდერული თვალსაზრისით;

ე) უზრუნველყოს საკრებულოში ინიციირებული ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით;

ვ) შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის;

ზ) ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოსთან, მიაწოდოს მათ შესაბამისი ინფორმაცია და წინადადებები; მონაწილეობა მიიღოს გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში;

თ) გამოითხოვოს და მიიღოს გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

კ) გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლისა და განხილვის დროს მოიწვიოს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და ექსპერტები; საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით;

ლ) საბჭოს საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, საკითხის სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით, მოაწყოს სამუშაო შეხვედრები შესაბამის დაინტერესებულ პირებთან და უწყებებთან;

მ) ითანამშრომლოს ქალთა ჯგუფებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

ნ) განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

2. საბჭო:

ა) წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ;

ბ) უფლებამოსილია, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს მუნიციპალიტეტი სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში.

3. საბჭოს ყოველწლიური ანგარიში ქვეყნდება საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ასევე ეგზავნება საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოს.

მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის მიერ (მისი არსებობის შემთხვევაში) ან მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი წარდგინებით არჩეული წარმომადგენელი.

2. საბჭოს თავმჯდომარეა საკრებულოს თავმჯდომარე.

3. საბჭოზე გასატან საკითხებს ამზადებს და დღის წესრიგის პროექტს ადგენს საბჭოს მდივანი.

4. საბჭოს სახელობით შემადგენლობას განსაზღვრავს და ბრძანებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

5. საბჭოს წევრებად, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირებისა, საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოიწვევა საკრებულოს წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციების (არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთობლივი წარდგინების არარსებობის შემთხვევაში) წარმომადგენლები საკრებულოს თავმჯდომარისადმი მათი მიმართვის საფუძველზე.

6. გენდერული თანასწორობის საბჭოში წევრთა 40%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს ერთი სქესის წარმომადგენელი.

7. საბჭოს სხდომაზე ცალკეულ საკითხების განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნეს მერიის თანამდებობის პირები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და სპეციალისტები.

მუხლი 4. საბჭოს სხდომა

1. საბჭოს სხდომას 3 თვეში ერთხელ მაინც იწვევს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

2. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

3. საბჭოს სხდომის მოწვევის დროსა და სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.

4. საბჭოს სხდომა ღია და საჯაროა. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომის ჩატარების დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც.

5. საბჭოს სხდომაზე დასწრების და მონაწილეობის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას. ამ მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციამ სხდომის დაწყებამდე 2 დღით ადრე მაინც უნდა მიმართოს საკრებულოს თავმჯდომარეს და გამოყოს ერთი წარმომადგენელი საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად.

6. საბჭო ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს საკრებულოსა და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის წარსადგენად და იღებს გადაწყვეტილებებს საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

7. საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენის უფლება აქვს სხდომაში მონაწილე ყველა პირს. ყველა წარდგენილი წინადადება და რეკომენდაცია შეიტანება საბჭოს სხდომის ოქმში. განსახილველ საკითხზე წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება შემოტანილ იქნეს წერილობით ფორმით. ასეთი სახით შემოსულ წინადადებებს და რეკომენდაციებს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე აცნობს სხდომის მონაწილეებს და იგი დაერთვება სხდომის ოქმს.

8. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

9. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა, განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

10. საბჭოს სხდომის ოქმი ქვეყნდება საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

11. საბჭოს სხდომის ოქმში შეტანილი წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნებათ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებულნი არიან 1 თვის ვადაში განიხილონ მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობონ საბჭოს.

მუხლი 5. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #17

2017 წლის 10 აგვისტო, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.თ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ" მე-13 მუხლის 11 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა შუბითიძე**

დანართი #1

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება

მუხლი 1. გენდერული თანასწორობის საბჭო

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო (შემდგომ – საბჭო) არის საკრებულოს სათათბირო-საკონსულტაციო ორგანო, რომელიც „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

2. საბჭოს შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

3. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონით, საკრებულოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიულიაქტებითა და ამ დებულებით.

4. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს ძირითადი ამოცანები

1. საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ეროვნული სამოქმედო გეგმის

გათვალისწინებით შეიმუშაოს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და

უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია;

ბ) განახორციელოს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად;

გ) განიხილოს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის, გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური პროგრამებისა და ბიუჯეტის პროექტები; მოამზადოს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები;

დ) განახორციელოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შესრულებული ან მიმდინარე მუშაობის მონიტორინგი და შეფასება გენდერული თვალსაზრისით;

ე) უზრუნველყოს საკრებულოში ინიციირებული ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით;

ვ) შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის;

ზ) ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოსთან, მიაწოდოს მათ შესაბამისი ინფორმაცია და წინადადებები; მონაწილეობა მიიღოს გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში;

თ) გამოითხოვოს და მიიღოს გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

კ) გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლისა და განხილვის დროს მოიწვიოს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და ექსპერტები; საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით;

ზოგიერთი ცნობა სურამის შესახებ

(მასალები წიგნისთვის „სურამი“)

(დასასრული. დასაწყისი იხ. ხმ. #31, #32,)

სურამის რეგიონში XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა სათავადოები ჯერ საჩხეიძეო, ხოლო შემდეგ სახიდირბეგიშვილო. გარდა ჩხეიძეებისა და ხიდირბეგიშვილებისა, სურამში ყმა გლეხობას ფლობდნენ თავადი აბაშიძეები, აზნაურები აბაზაძეები, მურვანიშვილები, ხეროდინაშვილები, აქვეა,სახაზინო და საეკლესიო ყმა-გლეხობაც.

რუისის სამწყოს 1715 წლის აღწერის დავთარში სურამიდან შეტანილია 22 კომლი (მურვანიშვილი (2), ტუღრიაშვილი, ციმაკურიძე, ბაიაშვილი, პაპინაშვილი, ნებიერიძე (2), სანდაძე, ჯობაძე (8), ლოხინაშვილი, ბებიაშვილი (3), რევაზიშვილი (2), ბარბაქაძე (2), ძანაშვილი, ბიბილური, შათირიშვილი, ურიაყოფილი, სვიმონაშვილი, კვირიკაძე).

ვფიქრობთ, რომ დავთარში ქართველი მოსახლეობის მხოლოდ ის ნაწილია შეტანილი, რომელთაც რუისის ეკლესიის მიმართ რაიმე ვალდებულება ჰქონდათ დაკისრებული. ეს რომ ასე უნდა იყოს, ამას გვაფიქრებინებს 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მონაცემები, საიდანაც კარგად ჩანს, რომ სურამის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველობაა.

ამავე დავთარში „ზე სურამიდან“, რომელიც, გვერდისუბანი უნდა იყოს, შეტანილია 15 კომლი (მთიულიშვილი, გვერეხაშვილი (4) ბებიაშვილი, ქურდაძე, ღარეშიშვილი, ცხრელაშვილი, ყიმშიძე, ადობლიშვილი, ჩოლაყაშვილი, მუმლაძე, ბარბაქაძე.

სურამის მოსახლეობის შედარებით სრული აღწერა მოცემულია ოსმალების მიერ 1728 წელს შედგენილ თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში, რომლის მიხედვითაც სურამში ცხოვრობს 255 კომლი, აქვე ნაგულისხმევი უნდა იყოს სომხობაც. კომლთა შორის 5 საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელია – აზნაურია. ოსმალური გადასახადების რაოდენობა შეადგენს 1500 ახჩას. რაც შეეხება გვერდისუბანს, აქ წარმოდგენილია 26 კომლი. დავთარში ცალკეა გამოყოფილი ებრაელთა დასახლება 50 კომლით, რომელიც იხდიდა 5000 ახჩას.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დავთრის გვერდისუბანი (რუისის სამწყოს „ზე სურამი)“ სურამის ერთ-ერთი უბანია (გვერდისუბანია), მისი ნაწილია, ამას გარდა ებრაელთა დასახლებაც სურამს უნდა მივაკუთვნოთ, მაშინ სურამში, (გვერდისუბნისა და ებრაელთა დასახლების ჩათვლით) ცხოვრობს 327 კომლი, დაახლოებით 1635კაცი.

მოსახლეობა შემცირებული ჩანს XVIII ს-ის 70 – იანი წლებისათვის. 1770 წლის 5 აპრილის აღწერით, „არს მცირე ქალაქი სურამი და ამას შინა მკვიდრობენ ქართველნი, სომეხნი და ურიანი, კომლი ორასი“.

ამ ცნობის თანახმად, 1770 წლისათვის სურამში დაახლოებით 1000-ზე მეტი სული ცხოვრობს. უფრო შემცირებული ჩანს მოსახლეობა XIX ს-ის დასაწყისისათვის. 1804 წლის კამერალური, აღწერით სურამში სულ 129 კომლი ცხოვრობს. აქედან სახაზინო იყო 72 (ქართველი 21 კომლი, სომეხი-38, ებრაელი -12). დანარჩენი 57 კომლი ეკუთვნოდათ ბეგთაბეგიშვილებს, თარხნიშვილებს, ხიდირბეგიშვილებს, ჩხეიძეებს, აბაშიძეებს, ერისთავებს და სხვა.

სურამი XVII-XVIII- საუკუნეების განმავლობაში ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო და აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასეთივე მდგომარეობა შეინარჩუნა მან XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისშიც. ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები, თუ როგორ იყო წარმოდგენილი XVII-XVIII სს-ში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სურამში. სხვა სურათი გვაქვს XIX ს-ის სურამის სავაჭრო – ეკონომიკურ სურათზე. ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალაა დაცული საქართველოს სიძველეთსაცავებში.

იაკობ რაინეგსი აღნიშნავს, რომ „რადგან (სურამი- თ. ლ.) ერთადერთი სასაზღვრო ადგილია იმერეთსა და ქართლს შორის, ამიტომ იქ საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობაა“.

ამ ცნობის მიხედვით, სურამში თავს იყრიდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდან, ახალციხის საფაშოდან ცნობილი ვაჭრები. სისტემატურად იმართებოდა ბაზრობები.

სურამში, თუნდაც მწირი ცნობების საშუალებით, ცნობილი ხდება, რომ გამართული იყო სავაჭრო დუქნები და სახელოსნოები. გიორგი ქართველიშვილმა 1757 წლის 19 მარტს ყობია ურიაყოფილს მიჰყიდა თავის სამკვოდრო ალაგი, რომლის ერთი გვერდი „დუქნის მიდგმამდია“.

ლუარსაბ მურვანიშვილის ასულის - მაიას თხოვნაში (XIX ს-ის დასაწყისი) აღნიშნულია, რომ მათ სურამში ეკუთვნით ექვსი დუქანი.

1810 წლის 20 მარტს გიორგი სალიბეგაშვილმა როსტომ ფასუაშვილს მიჰყიდა მის მიერვე „... ნასყიდი ხეროდინაშვილისეული სადუქნე, ზომით ხუთი ადლი განი და შვიდი ადლი სიგრძე, ქვეით გვერდი მამინაშვილის დუქნის მიდგმამდი“..

ამილახორთა 1856 წლის გაყრის აქტიდან („აქტი გაყოფისა“) სურამში დუქანი ერგო იოანე ამილახორს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან აქ გამართულია ე.წ. მაღაზიები.

XIX საუკუნის დასაწყისიდან სურამი გვიანდელი ზემო ქართლის მნიშვნელოვანი ცენტრია. თუმცა, ამ პერიოდის სურამის იერსახე ნაკლებად შთამბეჭდავია. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი, რომელიც 1825-1826 წლებში იმყოფებოდა კავკასიაში, წერს: „სურამი ჯერაც მცირედ გაშენებულია. აქვს მხოლოდ რამდენიმე პატარა ქოხი და არსადაა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი. თვით პოლკის უფროსი ერთ პატარა, დაბალ შეუხედავ სახლში ცხოვრობს. ამის საპირისპიროდ, პოლკმა თავისთვის აიშენა მშვენიერი ქვის ყაზარმა. ამ სოფლის შუაში, მაღლობზე დგას ძველი ციხე, რომელიც ახლა მთლად მიტოვებულია. ირგვლივ აღიმართებიან სხვა, ასევე ყოველგვარი მცენარეულისგან გაშიშვლებული მთები... მდინარე, რომელსაც რუსები ქალაქის მიხედვით, სურამკას ეძახიან, აქ სავსებით პატარაა და არც თუ შორიდან უნდა იღებდეს სათავეს. მაცხოვრებლებს აქვთ მხოლოდ პატარა, ბნელი, ჩახუთული ბინები, რომლებშიც ევროპელისთვის ცხოვრება შეუძლებელია“.

თითქმის ასეთივე სურათია XIX ს-ის 60-70-იან წლებში.

ძალზე მწირი ცნობებია შემონახული სურამში ხელოსნობისა საერთოდ და კერძოდ, მისი ცალკეული დარგების შესახებ. ალბათ, ხელოსნობა აქ ისევე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც ეს მის მსგავს საქართველოს მცირე ქალაქებში იყო. ცხადია, როგორი მცირეც არ უნდა ყოფილიყო ქალაქი, ამ შემთხვევაში სურამი, ქალაქისათვის დამახასიათებელი ეს მნიშვნელოვანი სფერო - ხელოსნობა რაღაც დარგებით (რაც აუცილებელი იყო ყოველდღიური ცხოვრებისათვის) მაინც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

სურამში გამართული სახელოსნოებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამღებროები. საეთოდ, „სამღებროებსა და ღებვის საქმეს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფეოდალურ საქართველოს მეურნეობაში“.

სამღებროების არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XVIII საუკუნეში, სამღებრო გვხვდება არამარტო სურამში, არამედ მასთან ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტებში: ბეკამში, ქვიშხეთში, ხეფინისხევში, ვახანში და სხვაგან.

ნიკო ბერძენიშვილის ცნობით, XIX საუკუნის დასაწყისში სურამში (თუ ჭალაში) აგებენ ახალ ორ (ერთი იყო) სამღებროს.

დასტურლამალის მიხედვით, სამღებროები დედოფლს ეკუთვნოდა. სურამის სამღებროებიც სადედოფლო იყო და დარეჯანი განაგებდა.

დარეჯან დედოფალი 1772 წლის ერთი წერილით სურამის მოურავს იესე მურვანიშვილს ავალებს, ვახანიდან გადმოიყვანოს მისი „მამიდაშვილის მხეიძის შვილი“ და თხოვს, რომ ცხენის ქირა მისი სამღებროს „გამოსავლიდან“ გასცეს.

ამავე წერილში დედოფალი იესე მურვანიშვილს წერს, რომ სამღებროს გამოსაღებიდან მას „უნდა გაერიგებინა ბაჟი“ მღებრისათვის და ახლა მას ავალებს „გაურიგოს:“ მაგ მღებარს, მიეც ახლავ... შარშანდელი სულ მიცემული აქვს და წელს ხომ ჯერ დრო არ მოსულა. რა მწამს ჩვენი წიგნი მოგივიდეს მაშინვე მიეც, თორემ დიაღ გიწყენთ იცოდე“.

პროვინციაში სამღებროები განსხვავდებოდა მართვის მხრივ. თუ ქართლის, საბარათაშვილოს და ყაიყულის სამღებროების მართვა ქალაქის მღებართუხუცესის ხელით ხდებოდა. ზემო ქართლში (ამ შემთხვევაში სურამის, ბეკამის, ზემო ჭალის და სხვა) სამღებროები იჯარით გაიცემოდა და ასე ხდებოდა მათი მართვა.

ნ. ბერძენიშვილის თანახმად, სურამის, ხეფინისხევას, ბეკამის სამღებროების საიჯარო ფასი 120 თუმანი უნდა ყოფილიყო.

პროფესორი შ. მესხია აღნიშნავს, „...ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, საქართველოს ქალაქებშიც ბატონყმური ურთიერთობა იყო გაბატონებული და მისი მოსახლეობის ძირითად ნაწილს ყმა ხელოსნები და ვაჭრები წარმოადგენდნენ“.

პროფესორ შ. მესხიას ეს დებულება სურამის შემთხვევაში არ გამოგვადგება. მართალია, აქ სახეზეა ხელოსანთა და ვაჭართა ფენა, მაგრამ ჩანს რომ ეს ფენა მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული.

მოსახლეობის საქმიანობის მთავარი მიმართულება იყო მოწათმოქმედება, მევენახეობა და მესაქონლეობა. ეს კარგად ჩანს ისტორიული წყაროებიდან და დოკუმენტებიდან.

სურამის ებრაელების ერთი, მცირე, ნაწილისათვის ძირითად ეკონომიურ საქმიანობას ვაჭრობა წარმოადგენდა. რაც შეეხება ებრაელთა მეორე ნაწილს, უმრავლესობას, მათი ეკონომოკური საქმიანობა უმთავრესად დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობასთან. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ვაჭარ-ებრაელთა ფენისათვისაც უცხო არ უნდა ყოფილიყო სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება. ეს კარგად ჩანს იმ სამართლებრივი აქტებიდან. რომლებიც ეხება მიწის ყიდვა-გაყიდვის ფაქტებს და სხა. სურამში ებრაელთა მიწისმფლობელობის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტია შემონახული.

როგორც წესი, სურამშიც, ყმების ყველაზე დიდი მფლობელი სამეფო ოჯახია. არაერთ დოკუმენტში ვხვდებით სახასო გლეხებს. სურამში ყმები ჰყავს დედოფალ დარეჯანსაც. მისი მამულების სიაში აღნიშნულია, რომ აქ (სურამში - თ.ლ.) მას ეკუთვნის 4 (ოთხი) კომლი გლეხი.

აქვე ფლობს ყმებს ეკლესია. რუისის სამწყოს 1715 წლის აღწერის დავთარში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 22 კომლია შეტანილი. მართალია, ეს 22 კომლი საეკლესიო ყმა არ არის, მაგრამ მათ გარკვეული ვალდებულებები უნდა ჰქონოდათ დაკისრებული რუისის ეკლესიის მიმართ. რაც შეეხება უშუალოდ საეკლესიო ყმებს, მათ შესახებ არაერთი ცნობა მოგვეპოვება. მაგალითად, საქართველოს პატრიარქის ანტონ პირველის 1751 წლის 4 მარტის წიგნიდან ირკვევა, რომ მან თავისი ყმები მიაბარა მურვან და ბააკა მურვანიშვილებს: „ეს სურამელი ურია ხოსიაშვილი სვიმონა და ამისი ძმები ავის დროსაგან აყრილიყვნენ ხარჯისა და გამოსაღებისაგან და ახალციხეს ყოფილიყვნენ. ახლა ესენი ჩვენის წიგნითა და სიტყვით უნდა ავყაროთ და გადმოვიყვანოთ. ამათზე თვალი და ყური გეჭიროსთ, არავინ ძალი და უსამართლო არ უყოსთ“.

ერთი წლის შემდეგ, 1752 წლის 13 დეკემბერს, პატრიარქი ანტონი კვლავ მურვან მურვანიშვილს აბარებს თავის ყმებს: „მერე სურამს ჩვენი ყმა ვინცავინ იყოს ქართველი, სომეხი თუ ურია, ყველა შენთვის მოგვიბარებია, თვალი და ყური გეჭიროს. არავინ რა ძალი და უსამართლო უყოს. სხვას კაცს ხელი არავისა აქვს ჩვენს მეტსა: არც მოურავსა, არც მამასახლისსა და არც სხვას მოსაქმესა... როგორც შეძლოსთ, თავთავის შეძლებით ისე გვამსახურებდეთ და თუ ვინმე ძალი და უსამართლო უყოს, ჩვენ მოგვახსენე და პასუხს ჩვენ გავცემთ. რაც შეგეძლოს, რიგიანათ თვალი და ყური გეჭიროს“.

ზემო ქართლის მოსახლეობის ნუსხაში ცხინვალში დაფიქსირებულია ერთი კომლი.. „... ღედოფლის ყმა სურამელი ურია ელიშაყაშვილი აბრამა“.

სურამში ჰყავთ ყმები ბატონიშვილებსაც. 1776 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის იულონის და ვახტანგის ჭირი მოსცეს სურამელს მათს ყმას ჰურია ბინიას“. დავით ბატონიშვილს სურამში ჰყავდა 23 კომლი სომეხი, 8 კომლი ებრაელი, 12 კომლი ქართველი. ებრაელების 8 კომლი შესდგებოდა 34 მამაკაცისა და 23 ქალისაგან.

როგორც ჩანს, სურამში ყმა - ვაჭრების რაღაც გარკვეული ფენაც უნდა ყოფილიყო. 1745 წელს კათალიკოსმა სურამის მამასახლისისაგან ვაჩესგან ვაჭარი ებრაელი არონა იყიდა.

სურამში, ცხადია, ყმა გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნოდა გაბატონებული საზოგადოების ადგილობრივ წარმომადგენლებს. კერძოდ, თავადებს: ხიდირბეგიშვილებს, აბაშიძეებს, ჩხეიძეებს, ვეზირიშვილებს, აზნაურებს: მურვანიშვილებს, აბაზაძეებს და სხვებს.

მაია მურვანიშვილის თხოვნაში (XIX ს-ის დასაწყისი) ნათქვამია, რომ მამამისს ლუარსაბ მურვანიშვილს „რაცა კაცი გვეყოლება იქნება ოც კომბლადინა“ . მას ყმები ჰყავს სურამთან ახლოს, სოფელ ქემფერშიც.

მურვანიშვილების ყმები არიან ებრაელებიც, პატრიარქი ანტონი ზურაბ ხითარიშვილს ავალებს, მივიდეს ცხინვალში და „მურვანიშვილი, რომ ურიაზედ... ლაპარაკობს... თუ ბაზაზასშვილი და ან თამარაშნელი მოძღვარი მოფიცებათ იშოვნოს, რომ ცვეტისცხოვლის ყმა იყოს, ესენი დააფიცე და საჩვენოდ დასდევ და თუ ესენი მოფიცრათ ვერ იშოვნოს, აუყარე და მურვანისშვილს მიაბარე, თავის ყმა ყოფილა“.

ზურაბ ხითარიშვილმა, რომელიც ცხინვალში მივიდა, „... თამარაშნელი მოძღვარი და ბაზაზაშვილი დავითა“ „მოსხა“. მათ „ამ ურიას ელიკას ვერ უფიცეს და ეს ელიკა ურია თავის შვილებით მურვანისშვილებს დარჩა“.

სახასო (სახელმწიფო) ებრაელების გარკვეული ნაწილიც ჩანს სურამში. 1795 წელს „სურამელმა სახასო ყაზარაშვილმა ბინია ურიამ“ გიორგი აბაშიძეს მიჰყიდა ტუკაძისეული ვენახი. ისინი საკუთრების უფლებით ფლობენ მიწას.

საქართველოს ისტორიაში ცნობილი ფაქტია, რომ ყველა ნებისმიერი ეროვნება, ვინც კი აქ ცხოვრობდა, სამართლებრივი თვალსაზრისით, გათანაბრებული იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან, უფლებრივად მდგომარეობა ყველასთვის თანაბარი იყო. ეს კარგად ჩანს სამართლებრივი ხასიათის ძეგლებიდან. ეს საბუთები ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ სრულყოფილ სურათს გვიქმნის. ხშირია შემთხვევა, როცა ებრაელთა სამართლებრივი განსჯა ებრაული სამართლით ხდება. იგივე ითქმის სომხებისა და ბერძნების შესახებაც.

1772 წლის 9 ოქტომბერს სურამელმა პატარა ყობიას ქალმა წილის თაობაზე არზა მიართვა ერეკლე მეორეს. არზიდან ცნობილი ხდება, რომ ყობიას ქალი, დაქვრივების შემდეგ, მამის სურვილით, ოჯახში დაბრუნდა და თავისი ქონებაც (სამი თუმანი, ერთი ძროხა, ორი თავი ფუტკარი) თან მიიტანა. გათხოვებასაც აპირებდა, მაგრამ მამამ და ძმამ არ მისცა ამის უფლება. ისინი რომ გარდაიცვალნენ, არსებული ქონებიდან მას არაფერი შეახვედრეს: „ისინი დაიხოცნენ, სულ ასე გაიტანეს, რომ ერთის შაურის დანაფასევი არა მომცეს რა ჩემის ძმისა და მამიჩემისა“.

ყობიას ქალი მეფეს იმასაც თხოვს, რომ ადრე მირთმეული არზა ყმარწვილის თაობაზეც გადაუწყვიტოს და მისი წყალობა უყოს, რადგან ის არის მისი „შემნახავი და დამმარხავი.“

ყურადღებას იქცევს არზაზე გაკეთებული ერეკლე მეორის ოქმი: „ჩვენი ბძანება არის სურამის მოურაო მურვანიშვილო იესე, მამასახლისო და სურამში ვინცა ვინ უფროსნი კაცნი ხართ. მერმე ამ არზით, რომ მოუხსენებია, თუ ურიების რიგით და სამართლით ამას წილი მიეცემოდეს რამე, თავისი ძმის წილიდამ მოეცეთ და თუ არა მიეცემოდეს რა იმათის რიგით, ნუ მოსცემთ. მაგრამ ეს ყმაწვილი ისევ თავის დედასთან უნდა იყოს“.

სამეფო კარი ყოველთვის ცდილობდა, დაეცვა ებრაელების კანონიერი ინტერესები. ამის ერთ-ერთი მაგალითია ურია ბათინაშვილის მამულის საქმეზე იულონ ბატონიშვილის განჩინება. 1791 წლის 13 სექტემბერს ურია ბათანაშვილი უჩივის დანიელს (თავის ძმას?): „...მე და დანიელა რომ ერთნი გახლდით და დიდი ხანია, რომ გაყრილნი გახლავართ და ჩემი ნარგები მიწა დანიელამ გამიყიდა, გიორგი მღვდელს მიყიდა. ვილაპარაკეთ და განაჩენითაც მე დამრჩა, რომ თქვენ დაბეჭდეთ, მაგრამ მაინც არ დამანება. დანიელამაც აძლია თეორი, მაგრამ არც მით დამანება.

და თქვენგან ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ ჩემი გამომირთვას და მომცეს“.

იულონ ბატონიშვილი ლუარსაბ მურვანიშვილს ავალებს: „მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე, რომ ჩივის, ჩვენგანაც დამტკიცებული აქვს განაჩენი, როგორც იმ განაჩენებში უცხადებდეს, ისე უნდა გაურიგო, თავისი მიწები გამოურთვა და ამ არზის პატრონს მიაბარო, გაურიგებელს ნუ დაუგდებ“.

ქართლ-კახეთის სამეფოს კარი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ებრაელთა საჩივრებსა და მოთხოვნებს და სადავო საკითხებს კანონის თანახმად წყვეტდა. აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების მიერ ყურადღება არ ექცეოდა სოციალურ მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით არაერთი საბუთი შეიძლება მოვიშველიოთ. განსაკუთრებით საინტერესოა თავად ხიდირბეგიშვილებსა და მანაშერაშვილებს შორის ატეხილი დავა, რომელიც ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა.

თამაზ ლაცაბიძე

გაყოყოჩებული ცნობიერება ანუ აპოკალიფსი დღეს

,,არსებობა წინ უსწრებს არსებას,,,
ჟან პოლ სარტრი
,,თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები,,,
შოთა რუსთაველი

სიცოცხლის საფრთხის შემცველი პროცესების კატასტროფულ ნიშნულთან მიახლოების მზარდ ტემპს ჯერჯერობით ვერავინ და ვერაფერი ამუხრუჭებს. ვითარება მეტისმეტად საგანგაშოდ გამოიყურება. ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების არსებითი მაკავშირებელი და პასუხისმგებელი ადამიანის ცნობიერება სადღეისოდ კაცობრიობის ისტორიისათვის არნახული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. გამომცდელი ფულია, ოღონდ დიდი ფული!

ეკონომიკური ინტერესების მიერ შთანთქმული პოლიტიკა იმდენად ტრაგი-კომიკურად გამოიყურება, რომ უკვე საკმაოდ კარგად შეფუთული დემოკრატიის ნიღაბიც კი მის უსახურ სახეს ვეღარ ფარავს. არსებული ვითარების გამოწვლილვით გაანალიზებისთვის მოაზროვნეთა იმ დასს, რომელიც კავკასიური სახლის მიერ გამოცემული წიგნის „მწვანე ანთოლოგიის“ ავტორებს წარმოადგენენ, საბედნიეროდ, აღმოაჩნდათ სრული შინაგანი თავისუფლება, პასუხისმგებლობა და შესაბამისად, გამბედაობაც, რომ საგნებსა და მოვლენებს დაერქვას თავიანთი სახელები, კერძოდ ის, რომ ყოველივე ღირებულს განადგურება ემუქრება.

საბაზრო ფასდების ყველგან და ყველაფერში უპირობოდ დამკვიდრების გამო, სამართლიანობასა და ზნეკეთილობას ყოფითი ცხოვრებისთვის მნიშვნელობა იმდენად დაეკარგა, რომ ადამიანური არსებობის ეს უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები სრულიად მარგინალიზებული აღმოჩნდა.

რეიტინგს დადევნებული ტელევიზია და ფულად მოგებაზე ორიენტირებული მმართველობა, ფორმალურადაც კი ვერ ითავსებს კრიტიკულ ცნობიერებას. უაპელაციოდ განიდევნა ყველა ფორმის საზოგადოებრივი არენიდან გონივრული სიტყვა. საცნაური და ბევრის მეტყველია ისიც, რომ „ცნობილი ადამიანის“ ნაცვლად დამკვიდრდა „ცნობადი სახე“, მაშინ, როცა ცნობილი ადამიანი ნიშნავს საქმით გამორჩეულს, ხოლო ცნობად სახეში მოიაზრება მხოლოდ ტელევიზიით მრავალჯერადად ნაჩვენები და დამახსოვრებული ვიზუალი და სხვა არც არაფერი. როცა საქმის ანუ შრომითი მოღვაწეობის მნიშვნელობა იკარგება, მაშინ ავტომატურად უუცხოვდება საზოგადოება თავისსავე თავს, ყოველივე ადამიანურს ე.ი კულტურას. ეს ადამიანური არსებობის სივრცის ჩახშობაა. ეს სახიფათოა!

საბანკო კაპიტალი, როგორც საბაზრო სივრცის მთავარი აქტორი, საზოგადოების მხრიდან გაცილებით მეტ კონტროლს ითხოვს. სწორედ ამ სეგმენტს აქვს „დიდი ფულის“ ძალა ანუ ის ბერკეტი, რითაც შეუძლია ხელისუფლების ნებისმიერ შტოზე, განსაკუთრებით საკანონმდებლო რგოლზე განუსაზღვრელი გავლენის მოხდენა. გავლენის მოხდენის მთავარი მოტივი მათი მხრიდან არასამართლიანი, არაჰუმანური ქმედებების დაკანონებაა.

თანამედროვე საბანკო სექტორის უმეტესი ნაწილი, როგორც საბანკო საქმის მცოდნენი აღნიშნავენ, წარმოადგენს ერთ გიგანტურ სოლიტერს, რომელიც ხარბად ღრღნის თავისთავად უკვე დაავადებულ ორგანიზმს. ის, ანუ ბანკი, არ ქმნის არაფერს ახალს, უბრალოდ, შეიწოვს სხვის სიკეთეებს. ბანკირებმა უამრავი გზა გამოძებნეს ამის განსახორციელებლად. თუმცა, ძირითადი მექანიზმი ერთია. მოქალაქეს შეთავაზონ სესხები, რომლებიც საბოლოოდ იწვევს ფასების დაუჯერებელ ზრდას...“.

დიახ, ბანკის მიერ ფულის მოპოვების გზა რენტიერულია ანუ ფულის მოპოვება ხდება სხვის ხარჯზე, უკვე არსებულის ოპერაციული კონტროლით. „საერთაშორისო მონეტარულმა ფონდმა და საერთაშორისო გადასახადების ბანკმა, არც ისე მემარცხენე ორგანიზაციებმა, ჩაატარეს კვლევა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, თუ როგორ გარდაიქმნა ფინანსური სექტორი აშკარა პარაზიტულ წარმონაქმნად, ნაცვლად იმისა, რომ შეექმნათ სიმდიდრე, ისინი მას, უბრალოდ, ეპატრონებიან“(რუტვერ ბერგმანი).

რატომ ხდება ეს ყოველივე?

იმიტომ, რომ ეს შესაძლებელია!

დიახ, შესაძლებელია „დიდი ფულის“ მიერ პოლიტიკაზე ზეგავლენის გზით, ხელისუფლებასთან დაახლოებით, მისი ფინანსური და ფსიქოლოგიური დატყვევებით.

გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს წევრი და ცნობილი ეკონომისტი გერჰარდ შიკი „მწვანე ანთოლოგიის“ ნაწილში - „რაღაც ისე არ მიდის“, ფილიგრანული სიზუსტით აანალიზებს თანამედროვე ევროპის პრობლემებს. შიკი მის მიერვე დასმულ კითხვას: და მაინც, ვის ხელშია მართვის სადავეები? ასე პასუხობს: „მოქალაქეებს აღარავინ ეკითხება, როდესაც ევროკომისიის, ევროპის ცენტრალური ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან შემდგარი ოდიოზური „სამეული“ (ე.წ.ტროიკა) საკუთარ ექსპერტებს მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევს და რეგულირების პროგრამა მიწოლით გააქვს წაბორძიკებულ ქვეყნებში. საქმე ისაა, რომ ეს სამი ინსტიტუტი, რომელიც მილიონობით ადამიანის კეთილდღეობის ბედს წყვეტს, არ არის უშუალოდ დემოკრატიულად კონტროლირებადი.“

ნებისმიერი დემოკრატიულად არაკონტროლირებადი სისტემა პოტენციური კანონდამრღვევი, მოძალადეა და, მაშასადამე, დამნაშავე. შიკის მიერ აღნიშნული ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც ირლანდიის მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის გაჯანსაღებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ბუნდესტაგის წევრებმა ირლანდიელ პარლამენტარებზე ადრე შეიტყვეს, მართლაცდა, რა უნდა იყოს თუ არა გარედან მართული ანუ ამა სოფლის ძლიერთა ინტერესს დაქვემდებარებული პროცესი?!

რითი განისაზღვრება სიძლიერე და რამდენად საიმედო შეიძლება იყოს იგი იმ ძირეული, ფუნდამენტური ღირებულებისათვის, რომელსაც ადამიანური არსებობა ანუ თავისუფლება ჰქვია? ვინ და რა არის დღეს ძლიერი? რა აღმოჩნდა სიცოცხლეზე მეტად ძლიერი ანუ მნიშვნელოვანი?

ადამიანის საარსებო სივრცე, როგორც პროგრესული ან რეგრესული, როგორც ჰუმანური ან არაჰუმანური, მხოლოდ მატერიალურისა და სულიერის თანაფარდობით თუ დახასიათდება. არც ერთ ეპოქას არ ჰქონია მატერიალურის მნიშვნელობის უმაღლეს ხარისხში აყვანის ისეთი მძაფრი მცდელობა, ისეთი ჟინი, როგორც მეოცე საუკუნის დასასრულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისს. წარსულში, ასე თუ ისე, მაინც ხერხდებოდა სულიერთან მატერიალურის დაბალანსების მექანიზმის მოძებნა. რასაც მეტ-ნაკლები წარმატებით ართმევდა თავს ხან რელიგია და ხანაც ტრადიცია ან ორივე ერთად, ანუ ზოგადად, კულტურა. ახლა კი თანამედროვეობა კულტურის მწვავე კრიზისს განიცდის. უმთავრესი ინდიკატორი მიწის, წყლისა და ჰაერის საგანგაშო მდგომარეობაა. რომელთა მიმართაც, როგორც ხელისუფლების, ასევე ცალკეული ადამიანების მხრიდან უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ნეკროფილური დამოკიდებულება ვლინდება. სასიცოცხლო სივრცის უგულებელყოფა, მისადმი გამანადგურებელი დამოკიდებულება ანუ თვითაგრესია, ანუ თვითლიკვიდირების იმპულსი, სხვა რა არის თუ არა კოლექტიური ნიჰილიზმი, ყოვლისმომცველი კულტურული პესიმიზმი ანუ ღიად მოცემული ნეკროფილია.

კულტურული პესიმიზმის დომინანტურ მდგომარეობაზე საუბრისას შიკი მიუთითებს პოლიტიკასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებულ უფსკრულზე და მოყავს პოლონელ-ბრიტანელი ფილოსოფოსის ზიგმუნტ ბაუმანის აზრი იმის შესახებ, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც „კარგი საზოგადოების“ იდეის რეალიზების ნება და უნარი ექნება. „ამგვარ ეჭვს-წერს ბაუმანი- ბადებს სულ უფრო თვალსაჩინო ნაპრალი ძალაუფლებასა (ეს არის კონკრეტული ქმედებების განხორციელების უნარი) და პოლიტიკას (ეს არის განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებული კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების უნარი) შორის“.

საბაზრო ფუნდამენტალიზმის პირობებში ზემოთ აღნიშნული უფსკრული, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ღრმავდება. ფულის ყოვლისშემძლეობა ზენიტშია. რამდენადაც მისი მნიშვნელობა იზრდება, იმდენად კნინდება ადამიანის ცხოვრებაში არამატერიალურის მნიშვნელობა, მისი არაპრაგმატულობის გამო. სინდისს, სიყვარულს, მეგობრობას, პატრიოტიზმსა და ა.შ. ძალაუფლება ანუ კონკრეტული ქმედებების უნარი აღარ გააჩნიათ. მათი სივრცე დავიწროებულია და შესაბამისად, გაუფასურებული.

წარსულის ვერც ერთი დიდი ეკონომისტი ვერ წარმოიდგენდა ისეთ საბაზრო სისტემას, სადაც ბაზარზე გატანილ საქონელს სახმარ და საცვლელ ღირებულებასთან ერთად, ისეთი ფუნქციაც ექნებოდა დაკისრებული, როგორც ეს დამოკიდებულების გამომწვევ საქონელს შეუძლია ანუ „აწარმოოს“ თავად მომხმარებელი. რაც დრო გადის ასეთი საქონელი და მომსახურების ფორმა უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება რეალობიდან გაქცევის მზარდი ტენდენციის გამო. მათ შორისაა: ნარკოტიკი, სათამაშო ბიზნესის სახეობები, სწრაფი კვების პროდუქტები, კლუბური სპეციფიკური გართობები და ა.შ. საბაზრო ფასი მიწოდებისა და მყიდველის ანუ მომხმარებლის პროპორციულ შეფარდებაზეა დამოკიდებული. რადგან ნარკოტიკის შემთხვევაში ერთი მომხმარებელი მასზე დამოკიდებულების გამო მომხმარებლის სიმრავლედ გადაიქცევა, ამიტომ ნარკოტიკის ბაზარზე შეტანა ფულადი მოგების მიზნით, საკმაოდ პრაგმატულია. დიახ, ადიქციას ანუ ნებისმიერ დამოკიდებულებას ერთი ადამიანი შეიძლება სამ, ხუთ და მეტ დამოკიდებულ ადამიანად აქციოს. შესაბამისად იზრდება ფულის მოთხოვნაც, დანაშაულიც და რაც მთავარია, დგება უაღრესად სამწუხარო შედეგი- პიროვნების წაშლა, დეგრადირება. როგორც დიდი ეკონომისტები ამბობენ, მოთხოვნა ზრდის წარმოებას და წარმოება-მოთხოვნას!

გერმანელი პოლიტიკოსი და მწვანეთა პარტიის წევრი რალფ ფიუქსი როდესაც აანალიზებს ბუნებასა და ადამიანთან მიმართებაში „დიდი ფულის“ მაძიებელთა დამოკიდებულებას, ნამუსდაკარგულ ფულით მოთამაშეებს უწოდებს მათ. იმ ტიპის ეკონომიკურ ზრდას, რომელიც მხოლოდ დიდ ფულად მოგებაზეა ორიენტირებული, ფიუქსის მტკიცებით, ავტომატურად მოჰყვება ეკოლოგიური სტრესის აჩქარება და შესაბამისად, იმავე ტემპით მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური დაძაბულობა ანუ ჯანმრთელობის გაუარესება. ამავდროულად, საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწვება სიღარიბის საყოველთაო შიში. ფულთან იმდენადაა დაკავშირებული ყოველდღიურობის, ყოფითობის ყოველი დეტალი, რომ გაუცნობიერებლად იძენენ საგნები ფსიქოლოგიურ დატვირთვას. რომელი ფირმის ავტომობილით ვმგზავრობთ, რა ღირებულების ტელეფონით ვსარგებლობთ, რამდენად მდიდრულია ჩვენი მაჯის საათი, სათვალე, სამოსი და ა.შ. ამის მიხედვით ვლაპარაკობთ თუ სად, რომელ სოციალურ ფენას ვეკუთვნით, ამის მიხედვით ხდება სოციუმში ჩვენი მიღება-არმიღება. ფილოსოფიური ყოფნისა თუ ფლობის არჩევანში ფლობამ ცხადად „დაჩაგრა“ ყოფნა. რასაც ფლობ, შენც ის ხარ და არა ის, რას გრძნობ, რას ხედავ, რას განიცდი. ამჯერად ასეთია ამსოფლიურობის ფაქტობრივი სახე. აქ ვიზუალმა მთლიანად შთანთქა ადამიანური არსებობის არსი, ჭეშმარიტი შემოქმედებითობის მნიშვნელობა.

თანამედროვეობის პრობლემათა ნუსხაში ყველაზე დიდ სირთულედ „დიდი ფულის“ მიერ „ხელისუფლების ყიდვაა“ წარმოდგენილი. რადგან კორუმპირებული პოლიტიკა რეალურად მხოლოდ საგანდაკარგულ ანუ ფსევდოპოლიტიკად რჩება და „დიდი ფულის“ ხელისმსახურობის გარდა, სხვა არც და ვერც ვერაფერი იქნება. თუმცა, არც გერმანიაში, არც საქართველოში და არც არსად, ყოველივე ზემოთ აღნიშნული კრიტიკული ცნობიერებისათვის დაუნახავი და გაუცნობიერებული არ არის. მაგრამ ესეც ფაქტია და ამავდროულად, სამწუხარო, რომ უმრავლეს შემთხვევაში მერკანტილურობა ე.წ. ექსპერტთა თუ არასამთავრობო თუ პოლიტიკოსთა ხედვას ისე ამრუდებს, იმდენად ხდება კონფორმულობის სიღრმეებში ჩაძირვა, რომ თავადვე იჯერებენ და იღებენ არარეალურს რეალობად, სიცრუეს სიმართლედ, უსამართლობას სამართლიანობად, სიმახინჯეს მშვენიერებად და ა.შ.

იურგენ ტრიტინის წიგნმა „სიმშვიდე, უმოძრაობა-Made in Germany” (2014წ), რომელიც ეძღვნება სოციალურ სამართლიანობას, მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური ტრანსფორმაციის საკითხებს, იმთავითვე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. „მწვანე ანთოლოგიის“ მეშვეობით საქართველოს მოსახლეობას მშობლიურ ენაზე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გაცნობისა და გაანალიზების საშუალება მიეცა, რომელიც ქართული სინამდვილისთვისაც მეტად აქტუალურია და პრობლემატური. ესაა: კლიმატის დაცვის საკითხი, ენერგეტიკული გარდატეხის აუცილებლობა, ტრანსპორტის გარდაქმნა, აგრარული განვითარების დაჩქარება და ა.შ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იურგენ ტრიტინის შეხედულებები საბანკო სექტორთან დაკავშირებით. მისი მტკიცებით უნდა შეიქმნას ისეთი საბანკო სექტორი, რომელიც თავის რისკებს თავისსავე თავზე აიღებს. აღნიშნული პრინციპებით მომუშავე ბანკებს გონივრული მასშტაბებიც ექნება და კვლავაც რეალურ ეკონომიკას (მთლიანი ეკონომიკის ნაწილი, რომელიც ფინანსურ ეკონომიკას, ფინანსურ ბაზარს კი არ განეკუთვნება, არამედ რეალურ საქონელთან აქვს საქმე) მოემსახურება. „უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ფინანსური ბაზრის ჟონგლიორთა ზღვარგადასული ქმედებების ასევე ზღვარგადასული რეგულირება“ (იურგენ ტრიტინი).

„მწვანე ანთოლოგიის“ ავტორებს, როგორც ერთს, ისე აერთიანებთ აზრი იმის შესახებ, რომ სიმდიდრის დაგროვების ტემპში ჩართულ ეკონომიკას დაუნდობლად ეწირება მთელი პლანეტა თავისი მიწით, წყლით, ჰაერით ანუ ფლორით, ფაუნითა და ადამიანებით ანუ სიცოცხლით. ცხადია, არის მცდელობა გამოსავლის ძიებისა, მაგრამ თუ ის კანონით არ გამყარდა, მაშინ ყოვლისმომცველი შიშის მძიმე ტვირთი უფრო დაუმძიმდება ისედაც ნირწამხდარ კაცობრიულ ცნობიერებას.

„ჩვენ უახლოესი თაობის ვალი გვმართებს, ეს ასეა.-წერს ტრიტინი-ჩვენი ვალია, მათ დავუტოვოთ გამართული პლანეტა, ფუნქციონირებადი ინფრასტრუქტურა, საზოგადოება, სადაც ცხოვრება ღირს სოციალური, ტექნიკური, ეკოლოგიური ინვესტიციები გვმართებს ჩვენი მომავალი თაობისა. ჩვენ მათ ვალები არ უნდა დავუტოვოთ, მეტადრე ეკოლოგიური ზიანის ფორმით“.

კანადელი მწერალი და ბუნების დიდი ქომაგი ნაომი კლაინი, რომელიც ცნობილია კორპორაციული გლობალიზაციის პოლიტიკური ანალიზითა და ნეოლიბერალური ეკონომიკური განვითარების კრიტიკით, პლანეტის გადახურების მთავარ ფაქტორად თავისუფალ საბაზრო ფუნდამენტალიზმს მიიჩნევს, რადგან საბაზრო ფუნდამენტალიზმს არა ფული, არამედ დიდი ფული აინტერესებს. ასეთ ფულს ნაომი კლაინმა ცხელი უწოდა. 2014 წლის შუა თვეებში, WTO-ს დაარსებიდან ორი ათწლეულის შემდგომ. IPCC-მა საბოლოოდ გააცნობიერა გლობალიზაციის რეალობა და თავის „მეხუთე შეფასებით ანგარიშში“ აღნიშნა, რომ „მთლიანი ანთროპოგენური ნახშირორჟანგის ემისიების მზარდი წილი გამოწვეულია იმ საქონლის წარმოებით, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობისთვისაა გამიზნული“.

დაუსრულებელი ეკონომიკური ზრდის წყურვილის შედეგი იმაზე მეტია, ვიდრე წარმოგვიდგენია. კერძოდ, თუ დედამიწაზე სიცოცხლის დასრულებას მილიარდობით წლების შემდეგ მზის ჩაქრობის გამო ვარაუდობენ, მანამდე ერთ-ორი ასეული წელიც კი არ დაჭირდება იმას, რომ დედამიწელებმა დაჩქარებული წესით „მოახერხონ“ ეს, ანუ მზის ჩაქრობას თვითონვე დაასწრონ.

საკუთარ, პიროვნულ პასუხისმგებლობას გაქცეული ადამიანი თვითგანადგურებიდან საყოველთაო, ყოვლისმომცველ განადგურებამდე ისე მიდის, იმდენად ავტომატურად ერთვება ამ პროცესში, რომ მისი გაცნობიერებისთვის იოტისოდენა ადგილსაც კი აღარ იტოვებს. სიღარიბის შიშით აღძრული „დიდი ფულის“ დაუფლების ვნებას რომ შეძლებია აზროვნების ბლოკირება, მისი უმოწყალოდ ჩახშობა, ამის გაცნობიერება და განგაშია ეს წიგნი-საბედნიეროდ, ჯერ კიდევ საიმედო განგაში!

საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებები, რომელიც ექსპორტზე ორიენტირებული განვითარების მოდელს უკავშირდება, ნაომი კლაინი, ბინძურს უწოდებს, რადგან ტრანსპორტირებით გამოწვეული ზიანი კოლოსალურია თავისი მძიმე შედეგებით. ზიანის ლიკვიდირების ნებისმიერი მცდელობა კი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. არც ის ფაქტი არ უნდა უგულებელვყოთ, რომ ამ დროს კორუმპირებულობის ქსელის გაფართოებას, ნებსით თუ უნებლიეთ, დიდი ასპარეზი ეძლევა.

ტექნიკური განვითარების პარალელურად გაფართოებულმა სავაჭრო ქსელმა, შრომის სახელმწიფოებრივმა დანაწილებამ, ფინანსური კაპიტალის ძალმომრეობითმა საქმიანობამ, ბიზნესის მონოპოლიზებამ, დიდი ფულის მიერ ხელისუფლების „დაპყრობამ“ ჭეშმარიტი მეცნიერული აზროვნება ე.წ. ექსპერტებს ისე გადააბარა, რომ მეცნიერების, როგორც შემეცნებითი, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა ყოველდღიურობიდან არა მხოლოდ განდევნილი, არამედ „დაპატიმრებული“ ანუ ვიწრო სამეცნიერო წრეებში ჩაკეტილი აღმოჩნდა.

ნანა ჩაჩუა,
ფსიქოლოგი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

(დასასრული)

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებამდე 46 დღე დარჩა

-რა მნიშვნელოვანი სიახლეები და ცვლილებებია მოსალოდნელი არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისათვის?

– ცენტრალური საარჩევნო კომისია მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილის შემთხვევაში, დროულად განახორციელონ აღნიშნული უფლების მოსაპოვებლად ყველა საჭირო პროცედურა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 142-ე მუხლის თანახმად, პარტია, რომელიც რეგისტრირებული იყო და მონაწილეობდა 2016 წლის პარლამენტის არჩევნებში დამოუკიდებლად, ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში და არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად სათანადო განცხადებით მიმართავს ცესკოს თავმჯდომარეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღის დანიშვნის შემდეგ მომდევნო 3 დღის განმავლობაში (არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა). აგრეთვე, კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, პარტიებისთვის გამარტივდა საარჩევნო რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურები. კერძოდ, პარტიას აღარ ესაჭიროება მისი წესდებისა და სარეგისტრაციო მოწმობის დედნების ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლების ცესკოში წარმოდგენა. ცესკოს თავმჯდომარისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილ განცხადებას თან უნდა დაერთოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგანეტოს მიერ ცესკოსთვის განცხადების წარდგენამდე ბოლო 10 დღის ვადაში გაცემული ამონაწერი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრიდან, პარტიის ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მითითებით. აქვე დავამატებ, რომ წინასაარჩევნო კამპანია იწყება არჩევნების დანიშვნის მომენტიდან, შესაბამისად, კანდიდატები ამ დღიდან სარგებლობენ თანასწორი უფლებებით საარჩევნო კოდექსში დადგენილი წესების და კანონების საფუძველზე.

- როგორც ვიცით, ,,ცესკო,,, დახმარებას უწევს ისეთ ამომრჩეველს, რომლიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდანაა მოხსნილი?

– ნამდვილად ასეა. ამომრჩევლებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან არიან მოხსნილები და რომელთა რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ და რეგისტრირებულნი არიან მისამართის მითითების გარეშე, 2017 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით, უნდა გამოცხადდნენ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და გაიარონ რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან მხოლოდ მიუთითონ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. რეგისტრაციის გავლისას ზემოაღნიშნული მოქალაქეები ისარგებლებენ გარკვეული შეღავათებით, მათ შორის, - კონკრეტული კატეგორიის ამომრჩევლები გათავისუფლდებიან მომსახურების გადასახადისგან, რის შესახებაც დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

- დაკომპლექტდა თუ არა საარჩევნო კომისიები?

– ხაშურის საარჩევნო ოლქში იქმნება 52 საუბნო–საარჩევნო კომისია, თუმცა მათი დაკომპლექტება ჯერ არ მომხდარა. კომისიის წევრობის მსურველთა რეგისტრაცია დასრულდა 30 აგვისტოს. რამდენიმე დღეში შეიკრიბება სხდომა და მივიღებთ ბრძანებას მათი დამტკიცების შესახებ.

- არჩევნებში გამარჯვებულთა გამოვლენა როგორ მოხდება?

– მაჟორიტარობის კანდიდატთა შემთხვევაში, 50%-იანი ბარიერი მოხსნილია გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ერთ ხმასაც, ხოლო მერობის კანდიდატის შემთხვევაში საჭიროა სუბიექტმა მოაგროვოს ამომრჩეველთა ხმების 50%- და პლიუს ერთი ხმა. სხვა შემთხვევაში დაინიშნება მეორე ტური.

- წინასაარჩევნო რეგულაციები, ძირითადად, რას შეეხება?

– 22 აგვისტოდან, მას შემდეგ რაც პრეზიდენტმა არჩევნების თარიღი დაასახელა, ამოქმედდა რეგულაციები. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოგვაწოდა შემდეგი დადგენილება, სადაც განსაზღვრულია თუ სად უნდა ჩატარდეს პროპაგანდა-აგიტაციები, გაიკრას საარჩევნო „პლაკატები” და ა.შ. აღვნიშნავ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება.

თ. ახალკაცი

ბაგარი ჩვენი მღელვარეებისა...

ხაშურის ბაზარში დილა ოთხ საათზე იწყება. სოფლებიდან ჩამოსულ ხალხს, ე.წ “ვაჭრები” ხვდებიან და იწყება ნამდვილი ვაჭრობა. იყიდება და ყიდულობენ ყველაფერს. ვაჭრობაც ცალკე მიმართულებებადაა დაყოფილი-არსებობენ ყველის, ქათმის, ლობიოს და ყველა იმ პროდუქციის, რისი მწარმოებელიც ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ბაზარია. არც ცნობადობა აკლია და არც პროდუქციის ნაკლებობა ჩვენს ბაზარს. არც გვალვიანი და არც ყინვიანი წელი ეტყობა-ყველაფერი ბევრია, ყველა მხრიდან შემოდის. გეოგრაფიული მდებარეობაც ხელს უწყობს, გამვლელ-გამომვლელმა აქ გააჩეროს, აქ იყიდოს ხაშურთან ასოცირებული ლობიო და “ცოცხალი”. ცოტა ხნით, აღება-მიცემობაში მეც გავერიე. ვკითხულობდი ყველაფრის ფასს, მაინტერესებდა, გასულ წელთან შედარებით რამხელა იყო სხვაობა ღირებულებაში. მომსახურების სერვისი, ისევ იმ ადგილას დამხვდა, სადაც გასულ ან იმის წინა წლებში დავტოვე-ზოგს “გულის ფიცარი” დაეღალა არაფრისმყიდველის შეკითხვებისგან, ზოგი ვერც ჩინელებს დაესესხა და მაღაზია მაინც გახსნა, როცა გადიმება არ შეეძლო. გვესმის, დილიდან ამდენი სხვადასხვა ინტერესისა და სურვილის ადამიანების “გამასპინძლება” არაა ადვილი, გარეთ სიცხესა თუ სიცივეში, მაგრამ კლიენტთან მომსახურების სერვისი რომ დასახვეწია, ბაზრისმოსარგებლეთათვის(და არა მარტო), ჩემზე უკეთესადაა ცნობილი. აქვე დავტოვოთ ეს თემა(რადგან ჩვენ ვერაფერს ვცვლით) და ჩვენი ინტერესი დავიკმაყოფილოთ. როგორც ვთქვი, ბაზარს არ ეტყობა წელიწადის უნაყოფობა(გვალვამ და გვიანმა ყინვამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა სოფლის მოსახლეობას), დახლები “დახუნძლულია კახეთის, გორის, ზესტაფონის ხილით თუ ბოსტნეულით, თუმცა, ფასები გასულ წელთან შედარებით, მაინც მომატებულია, რაც მომხმარებლის უკმაყოფილებას იწვევს. არც გამყიდველები არიან კმაყოფილები(რომელთა რიცხვიც ბაზრის ტევადობას აღემატება)-გამყიდველი უფრო მეტია, ვიდრე მყიდველიო-მოახლოებული საავტომობილი გადაადგილება აშინებთ-გზაავლილი ხაშური მყიდველისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი რომ იქნება. აქვე, ერთი თვალისათვის და ჰიგიენურად გაუმართლებელი გარემოებებიც-მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ადმინისტრაციამ შეძლებისდაგვარად მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა, პროდუქცია ნაცვლად დახლებისა, ისევ ასფალტზეა გაშლილი, გარეთ გამოტანილი, რადგან კლიენტს პირველი შეხვედრა მათთან ჰქონდეს(მარკეტინგის პრიმიტიული გამოვლინება). მიუხედავად ყველაფრისა, ხაშურის ბაზარი, დღემდე ინარჩუნებს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე იაფი ბაზრის სტატუსს.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს რიგითი სხდომა

ოქმი #46RSX00021 23.08.2017.

სხდომის დამსწრე პირები

სხდომის თავმჯდომარე: **ზურაბ ჩხიტუნიძე** - მნიციპალიტეტის გამგეობა, გამგებლის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარის მოადგილე: **ივანე ლოლაძე** - გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება, განყოფილების უფროსი;

სხდომის მდივანი: **თამარ გოგალაძე** - იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური, სამსახურის უფროსის მ/შ;

სხდომის წევრი: **მარიამ ბლიაძე** - გამგებლის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება, სპეციალისტი;

სხდომის წევრი: **ავთანდილ ტაბატაძე** - მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება, მთავარი სპეციალისტი.

განსახილველი საკითხები

მოქალაქე **ლუცია გოგალაძისთვის** სტატუსის მინიჭების შესახებ

მოქალაქე ლუცია გოგალაძე ითხოვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებას;

მოქალაქე **თამუნა ქარელისთვის** სტატუსის მინიჭების შესახებ

მოქალაქე თამუნა ქარელი ითხოვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებას;

მოქალაქე **ნიკა ხარაზიშვილისთვის** სტატუსის მინიჭების შესახებ

მოქალაქე ნიკა ხარაზიშვილი ითხოვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებას;

მოქალაქე **დემურ გოგოლაძისთვის** სტატუსის მინიჭების შესახებ

მოქალაქე დემურ გოგოლაძე ითხოვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებას;

მოქალაქე **დემურ ნოზაძისთვის** სტატუსის მინიჭების შესახებ

მოქალაქე დემურ ნოზაძე ითხოვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებას;

მოქალაქე **პეტრე კაპანაძისთვის** სტატუსის მინიჭების შესახებ

მოქალაქე პეტრე კაპანაძე ითხოვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებას;

მოქალაქე **კობა მიქელაშვილისთვის** სტატუსის მინიჭების შესახებ

მოქალაქე კობა მიქელაშვილი ითხოვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებას.

სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ განსახილველ პირთა შორის ნაწილი აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილებით „მარალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მათი მაღალმთიან დასახლებაში ცხოვრების ფაქტი ასევე დადასტურებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების მოხსენებითი ბარათებით, ხოლო ნაწილზე გამგებლის წარმომადგენლების მიერ არ დადასტურდა მაღალმთიან დასახლებაში წლის განმავლობაში ჯამში 9 თვით ან 9 თვეზე მეტი ვადით ცხოვრების ფაქტი. შესაბამისად, საბჭომ აღნიშნულ მოქალაქეებთან დაკავშირებით მიიღო უარყოფითი რეკომენდაცია სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილება

სტატუსის მინიჭების შესახებ დადებითი რეკომენდაცია გაიცა: **ნიკა ხარაზიშვილზე და დემურ ნოზაძეზე**, ხოლო სტატუსის მინიჭების შესახებ კომისიის მიერ უარყოფითი რეკომენდაცია გაიცა: **ლუცია გოგალაძეზე, დემურ გოგოლაძეზე, თამუნა ქარელზე, კობა მიქელაშვილზე და პეტრე კაპანაძეზე.**

ჩვენი მუნიციპალიტეტის დასავლეთის „ჭიშკარი“. დ. ღოღობერიძის ფოტო.

გიორგი მეხრიშვილი მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება

27 აგვისტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაფინანსებითა და სასპორტო სკოლის ორგანიზებით, ჩატარდა ჭიდაობა სამბოში ევროპის ჩემპიონის გელა ბარათაშვილის სახელობის ტურნირი. ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მასში, ადგილობრივი სპორტსმენების გარდა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის აზრდილებიც მონაწილეობდნენ. ტურნირს ერთი დატვირთვაც ჰქონდა. იგი გახლდათ ე.წ. „დასაყენებელი” ბოლო შეჯიბრი და წონებში გამარჯვებულები, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, სერბეთში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოემზადებოდნენ.

ჭიდაობა სამბოში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ბუხუტი ბუხრიკიძის აღზრდილებს არაერთხელ გავუხარებივართ და არც ეს ტურნირი იყო გამონაკლისი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი მეხრიშვილის გამოსვლა, რომელმაც ყველა მეტოქე უშანსოდ დატოვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ღირსეულად დაიკავა ადგილი. რაც მთავარია, მან მოიპოვა უფლება და 12-16 ოქტომბერს სერბეთში, ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. როგორც ბატონმა ბუხუტიმ აღნიშნა, მას დიდი იმედი აქვს, რომ გიორგის მონდომება და დაუღალავი გარჯა შედეგს გამოიღებს და იგი მსოფლიო ჩემპიონატიდან წარმატებით დაგვიბრუნდება.

წელს გიორგიმ უკვე იზეიმა ორი მნიშვნელოვანი გამარჯვება – იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა როგორც ჭაბუკებში, ასევე ახალგაზრდებში. წინ მსოფლიოა და მისგან ჩვენც მორიგ გამარჯვებას ველით.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.